საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქალაქმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები

წამყვანი პროფესორი: სალუქვაძე გიორგი, სალუქვაძე მამუკა

სტუდენტი: გობეჯიშვილი ანა

ჯგუფი: 65212

კურსი: IV

2019 წ





უბნის ისტორია

გერმანელებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ თბილისის ისტორიაში. მეცხრამეტე საუკუნეში თბილისში გერმანელების კოლონია არსებობდა, რომელსაც „ალექსანდერდორფი“ ეწოდებოდა და სადაც რამდენიმე ათასი გერმანელი ცხოვრობდა.

1818 წლის გაზაფხულზე საქართველოს ტერიტორიაზე გერმანელების 500-მდე ოჯახი ჩამოსახლდა, თბილისის შემოგარენში კი 50-მდე ოჯახი დასახლდა. ისინი თავდაპირველად თელეთიდან წამოსულ გლეხებთან ერთად ცხოვრობდნენ, ადგილს კი კუკია ეწოდებოდა. „კუკია“ ეწოდებოდა ამჟამინდელი აღმაშენებლის გამზირის ტერიტორიასაც, რომელსაც გერმანელებმა მოგვიანებით „ახალი ტიფლისი” უწოდეს. 1844 წლის თბილისის გეგმაზე გერმანელთა დასახლება საგრძნობლად გაზრდილია მთავარი ქუჩის გასწვრივად. 1853 წელს ამ მიდამოებში ვრცელდებოდა ქალაქური განაშენიანების წესები, ტერიტორია შედიოდა ტფილისის მეოთხე საპოლიციო უბანში. ალექსანდერდორფის ტერიტორიის დიდი ნაწილი ბაღებს ეკავა, რომლებსაც თბილისის 1905 წლის გეგმარზეც კი, ვრცელი ფართობი ჰქონდა დათმობილი. გერმანული კოლონია თბილისს ოფიციალურად 1862 წელს მიუერთდა და ჩამოყალიბდა ახალ უბნად, რომელსაც ჩვენ ამჟამად ჩუღურეთად ვიცნობთ. მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისში 3 ათასამდე გერმანელი ცხოვრობდა. ისინი ჰარმონიულად შეერწყნენ თბილისური ცხოვრების წესს და განსაკუთრებული, ევროპული კოლორიტი შესძინეს ქალაქს.

ადგილმდებარეობა და <u>მოკლე მიმოხილვა</u>

ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისის მარცხენა სანაპიროზე, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. კვლევის თანახმად, საქართველოში სიმჭიდროვის მხრივ, დიდუბე-ჩუღურეთი მეორე ადგილს იკავებს, კვდრატულ კილომეტრზე 5 ათას 7 მოსახლის რაოდენობით.

უბნის ფართობი კი დაახლოებით 216 ჰექტარს შეადგენს.



პლეხანოვი

პლეხანოვის უბანი ძირითადად
მიეკუთვნება საცხოვებელ ზონა 5-ს.

პლეხანოვი

საპროექტო ტერიტორია



პლეხანოვი

განაშენიანების ლაქები

№1

№2

ალნიშნულ ტერიტორიაზე რამდენიმე ტიპის შენობათა წყობა გვხვდება.

№3

უბანში გავრცელებულია თბილისური ეზოს წყობა

პლეხანოვი



საპროექტო არეალზე ვხვდებით რამდენიმე საინტერესო ობიექტს. აღსანიშნავია თეატრებისა და ეკლესიების სიმრავლე ტერიტორიის ამ მონაკვეთზე ამ ობიექტების არსებობა, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს უფრო მეტი პირის მოძრაობას ამ ტერიტორიაზე, რაც შემდგომში საცობების ზრდით აისახება.

ქვემო ჩოლურეთის საუბნო განყოფილება

თეატრი

ეკლესია

კლინიკა

სახანძრო

ბიბლიოთეკა

მარკეტი

საცურაო აუზი

ფაბრიკა

ტენისის კორტები

პლეხანოვი

ზონირება და სართულიანობა



სართულიანობის მხრივ, ძირითადად, ჭარბობს 2-სართულიან სახლები

1-სართულიანი
2-სართულიანი
3-სართულიანი
4-სართულიანი
5 ან მეტი

არსებული სკოლების რაოდენობა
უბანში



არსებული ბაღების რაოდენობა
უბანში

გამწვანება/რეკრეაცია

გამწვანების პრობლემა

მოსახლეობა უბანში გამწვანებული ტერიტორიის ნაკლებობას განიცდის. მათ არ აქვთ მოწესრიგებული, ეკოლოგიურად სუფთა დასასვენებელი ადგილი, სპორტული მოედნითა და სხვა აქტივობებით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, უკვე არსებობს ერთ-ერთი გზა, რაც მოიაზრებს უფრო მეტი პარკის შექმნას ამ უბნისათვის და ე. ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ამჟამინდელი ავტოსკოლის ტერიტორიაც სწორედ ამის მაგალითია. აქტიურად იმართება აქციებიც ამ მოთხოვნით.



გზათა სისტემა საპროექტო ტერიტორიაზე

ცალმხრივი მოძრაობა

მოძრაობის პრობლემა

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა უბანში არის მუდმივი საცობი და პარკინგის ნაკლებობა. ამ მონაკვეთში ქუჩათა უმრავლესობა არის ცალმხრივი მოძრაობის. მოსახლეობას ავტომობილები, ძირითადად, საკუთარ ეზოში ჰყავთ შეყვანილი, რაც თბილისური ეზოს ავთენტურობასა და იერსახეს აკარგინებს. ამასთან, გაუსაძლისი ხდება შიდა ეზოს ბავშვებისთვის სათამაშო ან მეზობლებისთვის სასიამოვნო შეკრების ადგილის შესანარჩუნებლად.

მარჯანიშვილის ქუჩის მარჯვენა ზოლი საფეხმავლო ბილიკთან ათვისებული აქვს პარკინგს, რაც ართულებს ავტომობილთა მოძრაობასა და ერთმანეთისთვის გვერდის ავლას.

ჩიტაიას ქუჩის გადაკვეთასთან მდებარე შუქნიშნის ხანგრძლივობა კი საავტომობილო მოძრაობის შენელებას და საცობის დამატებას იწვევს.

საერთო ჯამში კი ეს აბინძურებს ჰაერს და ქმნის არაჯანსაღ გარემოს.

არსებული ურნების რაოდენობა

შემოთავაზებული ურნების რაოდენობა

საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დანაგვიანება და ნაგვის ურნების სიმცირე

ასევე პრობლემურია საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადასაყრელი ობიექტების სიმცირე.
მონიშნული ტერიტორიის რადიუსზე ვხვდებით მხოლოდ სამ ცალ ურნას, რომელშიც შეიძლება საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება. მოსახლეობისთვის ეს დიდ დისკომფორტს იწვევს.

აღსანიშნავია, რომ უკვე გადაყრილი ნარჩენების წაღება, ყოველთვის პიკის საათებში ხდება და ერთ უბანზე მუშაობს უმცირესი რაოდენობის მანქანა.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, საჭიროა გაიზარდოს ნარჩენების განსათავსებელი ობიექების რაოდენობა ისე, რომ მოსახლეობისთვის წვდომა კომფორტული და მარტივი გახდეს. ასევე, გაიზარდოს ერთ უბანზე მომუშავე დასუფთავების მანქანების რაოდენობა.

საზოგადოებრივი სივრცის, პარკისა და განტვირთვის ადგილის დამატება

როგორც უკვე აღინიშა, ამ უბნისთვის საჭიროა რეკეაციის დამატება. ამის განსახორციელებლად შესაძლებლობას, გვაძლებს საბჭოს მოედანზე მდებარე ტერიტორორია, რომელიც ნაწილობრივ აუთვისებელია. აქ შეიძლება გაკეთდეს დიდი პარკი, რომელიც პლეხანოვის უბნის ზემო მცხოვრებლებსაც მოემსახურება.